თბილისი, 19 ივლისი, 2017

“სამედიცინო კორპორაცია ევექსმა“ 90 მილიონი ლარის, 5 წლიანი მოქმედების ვადის მქონე ადგილობრივი ობლიგაციების ემისია განახორციელა

2017 წლის 12 ივლისს „საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფის“ შვილობილმა კომპანიამ - „სამედიცინო კორპორაცია ევექსმა“, 90 მილიონი ლარის ღირებულების 5 წლიანი ვადის მქონე ადგილობრივი ობლიგაციები გამოუშვა. ობლიგაციების გაყიდვიდან მიღებული თანხა ადგილობრივი კომერციული ბანკების მიმართ სასესხო ვალდებულებების რეფინანსირებასა და დაგეგმილ საინვესტიციო პროექტებს მოხმარდება. ობლიგაციების განთავსების აგენტია სს“ გალტ ენდ თაგარტი“.

„მოხარული ვარ აღვნიშნო „გალტ & თაგარტ“ -ის როლი საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფის ობლიგაციის წარმატებით გამოშვებაში. „გალტ & თაგარტი“-ს მიზანია იყოს ამგვარი მომსახურების მუდმივი მიმწოდებელი, არა მხოლოდ საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებისთვის, არამედ მზარდი ქართული კომპანიებისთვის. მინდა მივულოცო ამ მნიშვნელოვანი ტრანზაქციის განხორციელება მთელს „გალტ & თაგარტ“ -ის და საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფის გუნდის წევრებს“ განაცხადა „გალტ & თაგარტ“ -ის გენერალურიმა დირექტორმა ოთარ შარიქაძემ.

“მოხარული ვარ, რომ ევექსმა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ტრანზაქცია წარმატებით დაასრულა. ეს არის ლარში დენომინირებული ობლიგაციების ყველაზე მსხვილი ემისია ქართულ კორპორაციულ ბაზარზე (საბანკო ინსტიტუტების გარდა). აღნიშნული ტრანზაქცია კიდევ ერთხელ ადასტურებს ინვესტორების მაღალ ნდობას, როგოც ქართული ეკონომიკისა და ჩვენი ვალუტის მიმართ, ასევე - „სამედიცინო კორპორაცია ევექსისადმი“ - აცხადებს საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფის გენერალური დირექტორი ნიკოლოზ გამყრელიძე.

სს გალტ ენდ თაგარტი
gt@gt.ge | დ. აღმაშენებლის 79. 0102 თბილისი, საქართველო
(+995 32) 2 40 11 11 www.gt.ge